პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მიესალმებიან დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილეებს.

ზ. ფალიაშვილის 100 წლისთავი არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ აგრეთვე მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის დღესასწაულია. კომპოზიტორის შემოქმედების ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის მკაფიო დადასტურებაა საიუბილეო ზეიმი, რომელშიც სსრ კავშირის მოძმე ხალხთა მუსიკალური კულტურების გამოჩენილი წარმომადგენლები და მსოფლიოს ბევრი ქვეყნის თვალსაჩინო მუსიკოსები მონაწილეობენ.

ზაქარია ფალიაშვილის სახით ჩვენ ზეიმს ვუხდით არა მარტო საქართველოს მუსიკალური ხელოვნების უდიდეს წარმომადგენელს, არამედ აგრეთვე დიდ პატრიოტს. ხალხთა მეგობრობის ქომაგს, ჰუმანისტ ხელოვანს, საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ პირველ აქტიურ მშენებელს.

კომპოზიტორის შემოქმედებამ, რომელსაც საფუძვლად უდევს მშობელი ხალხის ცხოვრების, კულტურის, ტრადიციების ღრმად შესწავლა, შეესისხლხორცა მდიდარი ქართული მუსიკალური მემკვიდრეობა და მსოფლიო, უწინარეს ყოვლისა რუსული კლასიკური მუსიკის მიღწევები.

იყო რა ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ზ. ფალიაშვილმა ეროვნული კულტურის დიად მიღწევათა დონემდე აიყვანა იგი. კომპოზიტორის შემოქმედებასთან დაკავშირებულია ქართული საოპერო ხელოვნების აყვავება. მისი შესანიშნავი ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ქართველი ხალხის სიამაყე და დიდებაა. ამ ნაწარმოებთა სილამაზე და შთაგონება, დიდი ჰუმანიზმი, რაც გამოხატულია სრულყოფილი მხატვრული ფორმით, მსოფლიო საოპერო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს მიაკუთვნებენ.

მუსიკა ზ. ფალიაშვილისათვის ხალხთან ცოცხალი კავშირის საშუალება იყო. დიდ კომპოზიტორს ქმნილებათა სწორედ დემოკრატიზმმა მოუტანა მსმენელთა ფართო მასების აღიარება და სიყვარული.

ზ. ფალიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, მისი საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა ხალხისა და საყვარელი ხელოვნების საკეთილდღეოდ მიზანდასახული და თავდადებული საქმიანობის მაგალითია.

ზ. ფალიაშვილი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში. თბილისის კონსერვატორიის რექტორად მუშაობის დროს იგი მთელ თავის ენერგიასა და ცოდნას აბმარდა მუსიკალური განათლების განვითარებას საქართველოში, პროფესიონალ მუსიკოსთა მომზადებას.

მშობელი ხალხის მუსიკა, რომლის განვითარებასაც იგი უსაზღვრო ერთგულებით ემსახურებოდა, ჩვენს დღეებში მაღალი სიმწიფისა და აყვავების ხანაშია.

ხალხი, რომელიც აშენებს კომუნისტურ მომავალს, ქმნის საბჭოთა სოციალისტურ კულტურას, უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით აღნიშნავს დღეს ამ კულტურის ერთ-ერთი მეგრუზის — დიდი კომპოზიტორისა და მოქალაქის ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს.

მეესალმებიან რა ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული სხდომის მონაწილეებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ გაერთიანებული სხდომის მუშაობა ხელს შეუწყობს საბჭოთა მუსიკალური კულტურის შემდგომ განვითარებას, იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც XXIV ყრილობამ დაუსახა საბჭოთა ხელოვნების მუშაკებს.

ვუსურვებთ სხდომის მონაწილეებს დიდ წარმატებებს მუშაობაში!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

14 ოქტომბერი ხუთშაბათი 1971 წელი 4 გვ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 237 (15147)

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი

დიდი ქართველი კომპოზიტორის იუბილე მთელი ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის ზეიმად გადაიქცა

ქართველი ხალხის სიამაყე

ზ. ჰ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილეებს



ხურათზე: სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული პლენუმის პრეზიდიუმში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მარგალიტები მსოფლიოს საგანძურში

□

ლაკაკაკობენ ჩვენი სტუმრები

□

უილიამ ოსტენი.

მუსიკისმცოდნე, აშშ.

სულ ახლახან მოსკოვში დამთავრდა მუსიკოსთა საერთაშორისო კონგრესი. აქ ერთ-ერთ საჩვენებელ კონცერტზე მოვისმინე სხვადასხვა ხალხის სიმღერები. ყველა მათგანი თავისთავადი და მომხიბლავი იყო, მაგრამ განსაკუთრებით დამამახსოვრდა ქართული ფოლკლორული სიმღერები. მომხიბლა მათმა პოლიფონიურობამ, მელოდიურობამ.

მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი საქართველოში, მინდა ახლოს გავეცნო მის კულტურას. წუხელ მოვისმინეთ დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის, შესანიშნავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომელმაც ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ძალიან მომეწონა ქართული ცეკვები. კიდევ ბევრი დამრჩა სანახავი. როცა ამერიკაში დავბრუნდები, ჩემს სტუდენტებს ვუამბობ, რაც აქ ვნახე და განვიცადე.

გავიცანი ფალიაშვილის ძმა ლევანი და მისი შვილიშვილები. ჩემთვის ეს ძალიან სასიხარულოა, ახეთი შეხვედრები აახლოებს ადამიანებს. ბევრი მეგობარი შევიძინე საბჭოთა კავშირში. ვამაყობ ამით. თქვენი გაზეთის — „კომუნისტის“ მკითხველებს გადაეცით ჩემი საუკეთესო სურვილები და მადლობა.

□

კარდოზი.

სლოვაკი კომპოზიტორი.

კომპოზიტორი, რომელიც თავისი ხალხის ამდენ სიმღერას დაამუშავებს, მხოლოდ ამითაც კი შეიძლება მუსიკის ისტორიას შერჩეს. ზაქარია ფალიაშვილმა კი დაგვიტოვა უკვდავი ოპერები, რომლებითაც მხოლოდ თავისი ერის კულტურა კი არ გაამდიდრა, არამედ მსოფლიოს მუსიკალურ საგანძურს მშვენიერი მარგალიტები შესძინა. ამით ზაქარია ფალიაშვილმა დიდი სამსახური გაუწია საერთოდ საოპერო ხელოვნებას.

□

ჯ. ელსნერი.

ბერლინის კუბაღლდტის სახელმწიფოს უნივერსიტეტის დოცენტი, მუსიკისმცოდნე.

გერმანული მუსიკის ერთ-ერთი მძლავრი კომპონენტი, როგორც ცნობილია, პოლიფონიურობა გახლავთ. ძნელია გაკვირვება ჩემი თანამემამულენი მრავალხმიანობით, და ქართულ მუსიკაზე ჩემი შთაბეჭდილება საერთოდ ამ კუთხიდან მინდა გაგიზიაროთ.

ქართულ ხალხურ სასიმღერო მრავალხმიანობაზე ადრეც გაგონილი მქონდა, მაგრამ თვითონ არ მომესმინა და როცა მოვისმინე, განვცვიფრდი, მაშინვე ვთქვი, რომ ხალხს, რომელსაც ასეთი სასიმღერო კულტურა აქვს, პროფესიული მუსიკის დიდი წარმომადგენლებიც უნდა მყავდეს. და აი მომეცა საშუალება გავცნობოდი ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. დავესწარი ოპერა „აბესალომ და ეთერს“ და წარუშლელი შთაბეჭდილება დამრჩა, განსაკუთრებით დამამახსოვრდა დიდებული გუნდები, რომლებითაც მსოფლიოს საუკეთესო ოპერები იამაყებდნენ. განსაცვიფრებელია ის გარემოება, რომ საგუნდო ნაწილები ასე ორგანულად ერწყმის მთლიან სიუჟეტს, მუსიკალურ დრამატურგიას. ეტყობა, ესეც ხალხური მრავალხმიანობის შედეგია. „აბესალომ და ეთერში“, თქვენი ხალხის ამ დიდმა ზეიმმა ფალიაშვილის უფრო ახლო გაცნობის სურვილი აღმძრა, და „დაისს“ დიდი ინტერესით ველი.

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ბრინჯაოში ჩამოსხმული იგი ხამუდამოდ დასახლდა თავის მშობლიურ სახლთან — თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან, რომელიც მის სახელს ატარებს, ბაღში, სადაც მისა ნეშტი განისვენებს.

ხელთ უპყრია მარადიული ცეცხლის ჩირაღდანი...

თვითეული ქართველისათვის, დიდი ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის თვითეული პატივისმცემელისათვის ძვირფასი სიმბოლიკა: მან ადათო ქართველი ხალხის ეროვნული მუსიკის უკვდავების ჩირაღდანი და ამით უკვდავყო თავისი სახელიც.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის აკადემიური თეატრი, აქ 52 წლის წინათ პირველად აყალიბდა კომპოზიტორის მუსიკა, აქ დირიჟორობდა იგი, იდგა კულისებში, განიცდიდა თვითეული ამირის მაგივრად.

დღეს კი ამ სცენაზე შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის, საქართველოს, საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის საუკეთესო კომპოზიტორები. ისინი მოვიდნენ, რათა პატივი სცენ უკვდავ ნაწარმოებთა შემოქმედს.

სცენის სიღრმეში, ლირის ფონზე ზ. ფალიაშვილის დიდი პორტრეტია. გვერდით კი დაფნის ტოტებს ქვეშ ბრწყინავს ციფრი „100“.

ჟღერს ოპერა „დაისის“ უვერტიურის მომხიბლავი მელოდია.

საზეიმო პლენუმის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ვ. მეძვანაძე, ბ. ჯაჯანიშვილი, ბ. ძოწენიძე, ვ. ბოგინიანშვილი.

აქვე არიან სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. პუხარსკი, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ტ. ხრენნიკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეიძეშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაძოაძეშვილი, თბილისის მწერმელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. გეხრაშვილი, ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

საზეიმო პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ჯ. ბალანჩივაძემ.

ჩვენ შეგვიკრებეთ, თქვა მან, რათა პატივი ვცეთ საქართველოს მუსიკალური ხელოვნების უდიდეს წარმომადგენელს, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ვისმა მოღვაწეობამაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ხალხის მუსიკალური კულტურის ისტორიაში.

ფალიაშვილის ისტორიული როლი ის არის, რომ უმდიდრესი ხალხური შემოქმედების ორგანული განზოგადებით მან შექმნა საკუთარი კლასიკური ეროვნული მუსიკალური სტილი, აზიარა ჩვენი მუსიკა კლასიკური მუსიკალური კულტურის მაღალ ტრადიციებს, შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც სილამაზითა და შინაარსით გაბედულად შეგვიძლია გვერდში დავუყენოთ საოპერო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

ზ. ფალიაშვილის ნოვატორული დამსახურება ის არის, რომ მის ქმნილებებში მკაფიოდ გამოვლინდა ხალხის უზარმაზარი მუსიკალური ნიჭი, მისი ხელიერი სიდიადე და ძალა.

მან ერთ-ერთმა პირველმა სიყვარულით შეკრიბა ხალხური შემოქმედების მარგალიტები და, რაც უფრო. დიდმნიშვნელოვანია, უდიდესი მხატვრული გულისხმიერებით ჩაქსოვა ისინი თავისი ოპერების მუსიკაში.

„მე ვიყავი და მუდამ ვიქნები მომხრე, რომ სრულად დავიცავთ ხალხის წიაღში წარმოშობილი ქართული კოლორიტის სიწმინდე, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რომელთაც შეიძლება განვითარდეს და გაიფურჩქნოს ჩვენი მუსიკალური ხელოვნება“. რა აქმაღალურად ჟღერს კომპოზიტორის ეს სიტყვები დღეს! ეს დებულება ხომ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების დიდმნიშვნელოვანი წარმმართველი თეზისია.

როგორც ნამდვილი კლასიკოსი, ფალიაშვილი თავის შემოქმედებაში ჰარმონიულად ახამებს ეთიკურ და ესთეტიკურ საწყისებს. მისი მუსიკა ერთნაირად მიმსიდველია პროფესიონალი მუსიკოსისა და ფართო მსმენელთა აუდიტორიისათვის. ამ მხრივ ფალიაშვილი ქართველი მუსიკოსებისათვის სამაგალითოა. ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ქართული ხელოვნების ისტორიის მარგალიტებია. ზ. ფალიაშვილი ჩვენთვის სამაგალითო დარჩა როგორც ხელოვანი-პატრიოტი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თავდადებით ემსახურებოდა ხალხს, სამშობლოს.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ბურჩიკაძეშვილს. იგი კითხულობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმების სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის საზეიმო გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებისადმი, რომელიც ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

ზ. ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა ტ. ხრენნიკოვმა.

ჩვენ შეგვიკრებეთ აქ, თქვა მან, საბჭოთა საქართველოს უძველეს და მაღალ ახალგაზრდა დედაქალაქში, რათა საზეიმო ვითარებაში აღვნიშნოთ შესანიშნავი კომპოზიტორის, ქართული მუსიკის კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ეს იუბილე დიდი, სასიხარულო დღესასწაულია არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხისათვისაც. ზაქარია ფალიაშვილი ახლომელი და ძვირფასია მთელი ჩვენი ქვეყნის ადამიანებისათვის, რადგან მისი შემოქმედება შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება პროგრესული ეროვნული ხელოვნება ინტერნაციონალური და ზოგადკაცობრიული.

(დასასრული 3ე-ს გვ.).

მეგობრულ ვითარებაში

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარემ **ანვარ სადათმა** 13 ოქტომბერს გამართა საუზმე საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ყოფნის გამო.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, საბჭოთა კავშირის ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვ. ვ. ვინოგრადოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ეგვიპტის მხრივ საუზმეზე იყვნენ პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე **აზიზ სიდკი**, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი **მაჰმუდ რიადი**, პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში **მუჰამედ ჰაფეზ ისმაილი**, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პრეზიდენტის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში **მუჰამედ აბდელ სალამ აზ-ზაიათი**, სამხედრო მინისტრი, გენერალი **მუჰამედ აჰმედ სადეკი**, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი **მუჰამედ მურად გალები**, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ელჩი **იაჰია აბდელ კადერი**, ეგვიპტის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმენებული სსრ კავშირში **მუჰამედ ვაფაა ბეგაზი** და სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ, გულიანად ვითარებაში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინმა და ა. სადათმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

(საკდესი).

მოლაპარაკება გრძელდება

12 ოქტომბერს, საღამოს გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. **ბრეჟნევის**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნის**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. **კოსიგინის** მოლაპარაკება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტ **ანვარ სადათთან.**

გულახდილობის სულისკვეთებით, ამხანაგურ ვითარებაში გაგრძელდა თერთო წრის საკითხების განხილვა, რომლებიც ეხება ორმხრივ საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობას, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებს.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში. კვლავ დადასტურდა, რომ ორივე ესწრაფვის ამიერიდან განავითაროს და განამტკიცოს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობა და ყოველმხრივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, რომლებსაც საფუძვლად უდევს აგრესიის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ორივე ქვეყნის ბრძოლის საერთო მიზნები. (საკდესი).

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საბჭოთა დელეგაციამ გულთბილად გამოეთხოვა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი და არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე ანვარ სადათი. იგი მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ქალაქის ჭიშკრები სადაც ავრომანჭინების კორტეჟი მიდიოდა. მორთული იყო ეგვიპტის და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. მისასალმებელი ტრანსპარანტებით არაბულ და რუსულ ენებზე, მშრომელები ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის ალმებით გამოეთხოვნენ მაგისტრალებსა და მოედნებზე, რათა მისალმებოდნენ ანვარ სადათს.

დედაქალაქის ენუკიძეს აეროდრომი. აეროპორტის შენობაზე ალმართულია სსრ კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები.

საპატიო სტუმრის გასაცილებლად მოვიდნენ ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჰ. ლატიპოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, ა. ა. გრეჩკო, ნ. ს. პატოლიჩევი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვ. ვ. ვინოგრადოვი და სხვები.

გამოცილებელთა შორის იყვნენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმენებული საბჭოთა კავშირში მ. ვ. ჰემაზი, სსრ კავშირში აკრედიტებული არაბული ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლები.

ანვარ სადათმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. შესრულდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ანვარ სადათმა და ა. ნ. კოსიგინმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები გულთბილად გამოეთხოვნენ გამცილებელთა და კავშირნენ თვითმფრინავის ტრაპისაკენ.

ა. სადათთან ერთად მოსკოვიდან გამგზავრნენ მისი თანმხლები ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი. (საკდესი).

ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲠᲘ

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტ ანვარ სადათს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახლში წარუდგინეს საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები.

ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲔᲡ ᲔᲚᲩᲔᲑᲘ

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს ანვარ სადათს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახლში წარუდგინეს საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საბჭოთა დელეგაციამ გულთბილად გამოეთხოვა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი და არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე ანვარ სადათი. იგი მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ქალაქის ჭიშკრები სადაც ავრომანჭინების კორტეჟი მიდიოდა. მორთული იყო ეგვიპტის და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. მისასალმებელი ტრანსპარანტებით არაბულ და რუსულ ენებზე, მშრომელები ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის ალმებით გამოეთხოვნენ მაგისტრალებსა და მოედნებზე, რათა მისალმებოდნენ ანვარ სადათს.

დედაქალაქის ენუკიძეს აეროდრომი. აეროპორტის შენობაზე ალმართულია სსრ კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები.

საპატიო სტუმრის გასაცილებლად მოვიდნენ ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჰ. ლატიპოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, ა. ა. გრეჩკო, ნ. ს. პატოლიჩევი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვ. ვ. ვინოგრადოვი და სხვები.

გამოცილებელთა შორის იყვნენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმენებული საბჭოთა კავშირში მ. ვ. ჰემაზი, სსრ კავშირში აკრედიტებული არაბული ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლები.

ანვარ სადათმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. შესრულდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ანვარ სადათმა და ა. ნ. კოსიგინმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები გულთბილად გამოეთხოვნენ გამცილებელთა და კავშირნენ თვითმფრინავის ტრაპისაკენ.

ა. სადათთან ერთად მოსკოვიდან გამგზავრნენ მისი თანმხლები ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი. (საკდესი).

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲒᲘᲪᲜᲔᲣᲚᲘ შეთანხმების შესაბამისად 12 ოქტომბერს მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოლაპარაკება ზღვაზე და საჰაერო სივრცეში შესაძლო ინციდენტების თავიდან აცილების საკითხებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მეთაურობს სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრის მოადგილე ჯონ უ. უორნერი, საბჭოთა დელეგაციას — სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის პირველი მოადგილე, ფლოტის ადმირალი ვ. ა. კასატონოვი.

Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** ირანის შაჰინშაჰის **მოჰამედ რეზა ფეჰლევის** მიწვევით 13 ოქტომბერს შირაზს გაფრინდა, რათა მონაწილეობა მიიღოს ირანის სახელმწიფოს 2500 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულში.

მასთან ერთად გამგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნ. პ. ფირიუბინი** და სხვა ოფიციალური პირნი.

ენუკოვოს აეროდრომზე **ნ. ვ. პოდგორნი** გააცილეს ამხანაგებმა **დ. ს. პოლიანსკემ, ი. ვ. ანდროპოვმა,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებმა **მ. ა. იასნოვმა, ა. ბ. ლიაშკომ,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეებმა **ა. ბ. შიტიკოვმა, ი. ს. ნასრიდინოვმა,** სსრ კავშირის მინისტრებმა **ა. ა. გრომიკომ, ბ. ბ. ბუგაევმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა,** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ა. თ. გორკინმა,** სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა **რ. ა. რუდენკომ,** სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ არმიის გენერალმა **ს. ლ. სოკოლოვმა,** მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. თ. ბრომისლოვმა** და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ᲛᲝᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲒᲘᲪᲜᲔᲣᲚᲘ შეთანხმების შესაბამისად 12 ოქტომბერს მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოლაპარაკება ზღვაზე და საჰაერო სივრცეში შესაძლო ინციდენტების თავიდან აცილების საკითხებზე.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მთავრობის მაღალი ჯილდოები გადასცეს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების იმ მუშაკთა ჯგუფს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის ორდენები დაიმსახურეს სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნორმაზე ადგილის შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. მეჟავანაძემ** დაჯილდოებულთ გადასცა ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. კობახიამ** და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტ

მსოფლიო დღე

ერთიანი ფიგურა

13 ოქტომბერი, (საკ.).

ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორები ეწვივნენ გ. დ. ჯავახიშვილს

13 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორთა დელეგაცია, რომელიც რესპუბლიკაში იმყოფება მსოფლის შტატის გუბერნატორის ულრინ ჭერნსის მეთაურობით.

რესპუბლიკის მთავრობის სახელით გ. ჯავახიშვილი გულთბილად მიესალმა სტუმრებს. თქვენ საბჭოეთში მოგზაურობთ, თქვა მან, რათა გაეცნოთ ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და მიღწევებს. ასეთი მოგზაურობა საერთოდ ძალიან სასარგებლოა კონტაქტების, ურთიერთობის დასამყარებლად, მით უმეტეს სასარგებლოა იგი, თუ მოგზაურობენ სახელმწიფო მოღვაწენი. ეს ხელს უწყობს უკეთეს ურთიერთგაგებას. ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას.

თქვენი ჩამოსვლა, აღნიშნა შემდეგ გ. ჯავახიშვილმა, ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ იგი დაემთხვა ცნობას, რომელიც გვაყოფინებს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შეთანხმებას სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის მომავალი ვიზიტის შესახებ. ამრიგად თქვენი ჩამოსვლა თავისებური პრელუდიაა დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკებისა, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის გაიმართება ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენი ჩამოსვლა, საბჭოეთის გაცნობა ხელს შეუწყობენ ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებას.

გ. ჯავახიშვილმა ამერიკელ გუბერნატორებს გააცნო ქართველი ხალხის წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

ფორნერ ჭერნსმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც მას და მის თანამგზავრებს გაუწიეს საქართველოში. ვიმედოვნებთ, განაცხადა მან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ისეთივე სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება, როგორც ჩვენი ვიზიტი. კმაყოფილი ვართ საქართველოში სტუმრობით. პირად კონტაქტებს, ადამიანთა ურთიერთობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ ორივე მხარისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ ამერიკელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთობის გაუმჯობესებისათვისაც.

ჩვენი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, განაგრძო გუბერნატორმა, შესაძლებლობას მოგვცემს ვუპასუხოთ ამერიკელი ხალხის კითხვებზე საბჭოთა კავშირის ცხოვრების შესახებ.

საუბრის დროს დელეგაციის წევრებმა ხაზი გაუსვეს ამ მოგზაურობის მნიშვნელობას ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. როცა სამშობლოში დაბრუნდებით, განაცხადეს მათ, ჩვენ ვისაუბრებთ იმ მეგობრულ გრძნობებზე, რომლებითაც გამსჭვალული არიან საბჭოთა ადამიანები ამერიკელი ხალხისადმი.

საუბარში მონაწილეობდნენ ამერიკის შტატების გუბერნატორები დენ ბამპერსი, ჯონ ლაბი, მარვინ მანდელი, უილიამ მილიკანი, დევიდ კოლი, სტენლი მელი

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი

დიდი კომპოზიტორის უკვდავება

(დასასრული)

ჩვენ ყველანი დიდად ვაფასებთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების კლასიკოს კომპოზიტორთა შემოქმედებითს მოღვაწეობას. მე ვლაპარაკობ ახლა კომიტასსა და სპენდიაროვზე, რომლის ასი წლის იუბილეს წელს აღინიშნება, უ. ჰაჯიბეკოვზე. ფალიაშვილი კომპოზიტორთა ამ პლეადის სახელოვანი წარმომადგენელია, რომლებმაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს სამ საბჭოთა ეროვნულ საკომპოზიტორო სკოლას.

როცა უკვდავი ქართული ოპერების „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ ავტორსა ვლაპარაკობთ, ჩვენ მაშინვე გვაგონდება მისი თანამედროვეები და თანამოღვაწენი. ესენი არიან დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე. ფალიაშვილთან ერთად ამკვიდრებდნენ ისინი ქართულ მუსიკაში ცხოვრებისეული სიმართლის მაღალ პრინციპებს, ქმნიდნენ თავისი სულისკვეთებით ეროვნულ თავისთავად ხალხურ ხელოვნებას. მაგრამ ფალიაშვილის დამსახურება განსაკუთრებით დიდია. მართალია არიან ქართველი მუსიკისმცოდნენი, როცა ამტკიცებენ, რომ სწორედ მან ჩააქსოვა თავის შემოქმედებაში ქართველი ხალხის სულიერი სახის უნიშვნელოვანესი თვისებები და ამიტომ გახდა უდიდესი ეროვნული კომპოზიტორი. ტყუილად როდი უწოდებდნენ მას ჯერ კიდევ სიცოცხლეში „ქართველ გლინკას“.

შესანიშნავი ოპერებისა და სხვა ნაწარმოებების ავტორი, იგი იყო ქართული ხალხური მუსიკის დიდი მკოდნე. ინარჯული მუსიკალური ფოლკლორი, ბალადა, ჰეროიკული, დირიჟორი. ყოველივე ამან განსაზღვრა მისი მნიშვნელობა ეროვნული მუსიკალური კულტურის ისტორიაში.

როცა კომპოზიტორის შემოქმედებიდან ბიოგრაფიას ვეცნობით. მაშინვე ვუთმინთ ყურადღებას ორ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას. ფალიაშვილმა ბავშვობიდანვე შეინისხლხლოინა შობილი ხალხის მუსიკა. ამასთანავე იგი დაუცხრომლად სწავლობდა რუს და დასავლეთ ევროპელ ხელოვანთა შესანიშნავ ქმნილებებს. ყველამ იცის, რომ ფალიაშვილი მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობდა სერი იანსონ-ძე ტანეევთან. ცნობილია ფალიაშვილის წერილი მასწავლებლისადმი. იგი დაწერილია 1903 წლის სექტემბერში. ფალიაშვილი ატყობინებს, რომ მუშაობს სიმფონიან კვარტეტზე და რომ „იერარდ ქართულ მელოდიებს ფონეტიკიდან ქალალდზე. ამ შაფსულს 40 სიმღერა დამიგროვდა“. ამავე დროს იგი სწავლობს მოცარტის, ბეთჰოვენის, შოპენის, შუმანის, ბოროდინის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს. „შემდეგ ვიშოვე თქვენი კანტატის „იოან დამასკინის“ პარტიტურა, — წერს ტანეევს ფალიაშვილი, — რომლითაც უფრო აღტაცებული ვარ, ვიდრე ფილარმონიული საზოგადოების შარშანდელი შესრულებით, ფუგა კი უგენიალურესია, რომელიც სამავალითო უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც სურს ისწავლოს, როგორ იერარება ფუგა“. ამ წერილიდან ჩანს, თუ რა შესანიშნავი სკოლა გაიარა ფალიაშვილმა და რა სწორედ იქცეოდა, როცა ესწრაფვოდა გაეფართოვებინა თავისი მუსიკალური ჰორიზონტი, ზიარებოდა მსოფლიო ხელოვნების საგანძურს.

საქართველოს მუსიკალური კულტურის, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა ჩვენი რესპუბლიკების მუსიკალური კულტურის მშენებლობაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუსიკალურ-თეატრალური ჟანრების და, უწინარეს ყოვლისა, საოპერო ჟანრის განვითარებას. ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“ მისი შემოქმედების უნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენენ. „აბესალომის“ პრემიერა, რომელიც 1919 წელს გაიმართა, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა. კომპოზიტორმა გამოიყენა ხალხური ეპოსი „ეთერიანი“ და შექმნა ღრმა ადამიანურობით გამსჭვალული ნაწარმოები. ხალხურ ხელოვნებაში ბოგა მან აზრისა და გრძნობის სიღრმე, ის პოეტური ამაღლებულობა, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია საოპერო მუსიკისათვის. მისი სიუჟეტი სადა, სცენური მოქმედება არ გამოირჩევა დრამატული დაძაბულობით. მაგრამ ყველას, ვინც ამ ნაწარმოებს მოისმენს, სამუდამოდ დასხმოდება უფლისწულ აბესალომისა და უმშვენიერესი ეთერის სახეები. ფალიაშვილმა უმღერა მათი სიყვარულის სიდიადეს, მათი შინაგანი სულიერი სამყაროს სილამაზეს. მან თავი გამოიჩინა როგორც შესანიშნავმა მხატვარმა-ფსიქოლოგმა. ამასთანავე, ქებათაქება შეასხა ვაჟკაცი და მამაც ქართველ ხალხს. ოპერის საგუნდო სცენები გამოირჩევა ეპიკური სიძლიერით, ჰეროიკით.

„აბესალომ და ეთერის“ მუსიკის სტილი მეტად ორგანულია. კომპოზიტორმა განაზოგადა საქართველოს მრავალფეროვანი ფოლკლორის სხვადასხვა ეროვნული ტიპების თავისებურებანი. მას შთააგონებდა ძველი ქართულ-კახური. მელოდიები — მათი როლი ფალიაშვილის მუსიკალური ენის ფორმირებაში განსაკუთრებით დიდი იყო. იგი მიმართავდა ხალხური შემოქმედების სხვა წყაროებსაც. ოპერაში თავი იჩინა აგრეთვე რუსული და საზღვარგარეთული მუსიკის კლასიკური ტრადიციების გავლენამ. სხვადასხვა ელემენტების მხატვრულმა სინთეზმა შესანიშნავი შედეგები გამოიღო.

ოპერა „დაისი“ ფალიაშვილის ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებია იმით შორის, რომლებიც მან საბჭოთა პერიოდში შექმნა. სიყვარულისა და მეტოქეობის ლირიკული თემა ამ ოპერაში შერწყმულია სამშობლოს დაცვის თემასთან. კომპოზიტორმა ოპერაში ჩააქსოვა ღრმა აზრი: როცა სამშობლოს საფრთხე ელის, ჭეშმარიტმა მოქალაქემ უნდა ჩაიხშოს პირადი გრძნობები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მხედრული მოვალეობის შესრულებაში. უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მონუმენტური სახალხო სცენა მეორე მოქმედების ბოლოს, მტრის შემოსევის თემა შემოიჭრება პირად ვნებათა ღელვისა და განცდების სამყაროში. კულმინაციის მომენტში კი ჟღერს რუსთაველის უკვდავი სიტყვები: „სჯობს სიცოცხლეს ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

დაუვწყარია ოპერის ლირიკული სცენები. მაღხაზის არია სიკვდილის წინ მსოფლიო საოპერო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამომახვეული გულშიჩამწვდომი არიაა. არიის მუსიკაში ჩაქსოვილია სიცოცხლესთან, საყვარელ ქალთან გამოთხოვების მწუხარება. საგულისხმოა სხვა ლირიკული არიებიც, დუეტები. ბევრი პოეზიაა ხალხურ საყოფაცხოვრებო სცენებში, ხალხურ ცეკვებში. დავასახელებთ თუნდაც გუნდს პირველი მოქმედებიდან, როცა სრულდება კომპოზიტორის მიერ სვანეთში ჩაწერილი სიმღერა; დავასახელებ „ზაირებს“, რომლებსაც მღერის მოხუცი ხუმარა კლდი ცანგალა; დავასახელებ ხალიან „ფერხულს“ და გუნდ „ალი-ფაშას“ გურული სიმღერების ყაიდაზე — ეს პირველი ეპიზოდია, რომელსაც ოპერაში შემოაქვს მხედრული ღირსებისა და სახელის გატეხის თემა, შემდეგ ფართოდ რომ ვითარდება; უნდა დავიხსენოთ აგრეთვე სწრაფი და ჰაეროვანი ცეკვა „ქართული“, მსმენელს ბიძლავს სხვა ცეკვებიც.

ოპერის საორკესტრო შესავალი დიდი არ არის, მაგრამ ქართული სიმფონიზმის მკაფიო მაგალითია. მუსიკალური პეიზაჟურობა აქ შეხამებულია ლირიკულ-ტრაგიკულ სახეებთან.

შინაარსის იდეური მნიშვნელოვნება სახეებისა და მუსიკალური ენის ხალხურობა განსაზღვრავენ ოპერა „დაისის“ სიცოცხლისუნარიანობას. ისევე როგორც „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ მიგვუთვნება საბჭოთა ხალხების ხელოვნების უკვდავი შედევრების რიცხვს.

ფალიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ოპერებით როდი შემოიფარგლება. მან დაწერა აგრეთვე ოქტომბრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კანტატა. საორკესტრო სიუიტა ხალხურ თემებზე, გუნდები, რომანსები. იგი იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი და დირექტორი და ბევრი რამ გაკაკეთა ქართული მუსიკალური კადრების აღსაზრდელად.

„აბესალომის“ ავტორის მიერ ჩაწერილი თესლი მაღლიან ნიადაგში მოხვდა და შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, თუ როგორ გაფურჩქნა საბჭოთა საქართველოს მუსიკალური ხელოვნება, როგორ შეისისხლხორცა ფალიაშვილის შემოქმედების ტრადიციები.

თუ ქართული მუსიკალური შემოქმედების პირველი ეტაპები უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული იყო საოპერო ჟანრთან, ახლა საქართველოში ინტენსიურად ვითარდება ყველა ჟანრი: ოპერა, ბალეტი, ორატორია, კანტატა, სიმფონიური და კამერული მუსიკა, სიმღერა. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები ფართოდაა ცნობილი მთელ ჩვენს ქვეყანაში და ზოგჯერ მის ფარგლებს გარეთ.

ეროვნული მუსიკალური კულტურის სიმწიფის ერთ-ერთი დადასტურებაა მისი მრავალფეროვნება, ბრწყინვალე შემოქმედებითი ინდივიდუალობანი, სხვადასხვა სტილისტური მიმართულებანი. ამ თვალსაზრისით კარგი მაგალითი შეიძლება იყოს საბჭოთა საქართველოს თანამედროვე მუსიკა. სოციალისტური რეალიზმის მტკიცე და ურყევ საფუძველზე განვითარებული ეს მუსიკა ამასთანავე მრავალფეროვანია, გვაახარებს მდიდარი ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილით, სხვადასხვაგვარი მხატვრული სახეებით. ჩვენმა ქართველმა მეგობრებმა და კოლეგებმა, რომლებიც დიდ, სოციალურად მნიშვნელოვან თემებს მიმართავენ და ქმნიან საბჭოთა სინამდვილის სახეებს, ახალი ფერები შემატეს მუსიკალურ პალიტრას. მათ თავიანთ შემოქმედებაში ჩააქსოვეს ქართული მუსიკის მელოდიები, რომლებიც წინათ არ ყოფილა გამოყენებული, გამოძებნეს ახალი ინტონაციები და ჰარმონიები, თავისთავადი პოლიფონიური ხერხები და სორკესტრო საშუალებანი. ასეთი ძიება გრძელდება.

ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ ათეულმა წლებმა განვლო. უნებურად შეიცვალა ამ ხნის მანძილზე ცხოვრება. გიგანტურად გაიზარდა საბჭოეთი. შეიცვალა მუსიკალური ხელოვნებაც. მაგრამ ფალიაშვილის ტრადიციები ცოცხლობენ და ასაზრდოებენ თანამედროვე მუსიკალურ შემოქმედებას. ისევე როგორც წარსულ წლებში ქართული მუსიკის კლასიკოსის ნაწარმოებები მხატვრული სიბრძნის, მაღალი სისადავის შინაარსისა და მუსიკალური მეტყველების ხალხურობის მაგალითად რჩება.

„აბესალომიც“ და „დაისიც“ ფართოდაა ცნობილი საქართველოს საზღვრებს გარეთ. 1924 წლის მაისში ოპერა „აბესალომ და ეთერი“ მოისმინეს სსრ კავშირის დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ და მსახიობებმა. იგი რეკომენდებული იყო ქვეყნის ყველა წამყვან საოპერო თეატრში დასადგმელად. 1931 წელს ეს ოპერა დაიდგა ხარკოვში, უკრაინულად. საზოგადოება მოესალმა სპექტაკლის დამსწრე ავტორს. მოგვიანებით კი „აბესალომ და ეთერი“ დაიდგა დიდ თეატრში. მე მახსოვს ეს დადგმა, მახსოვს რა მღელვარებით ისმენდნენ მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები ქართველი ხელოვანის შთამაგონებელ მუსიკას.

ოპერა „დაისის“ ლიტერატურული ტექსტი ითარგმნა რუსულად, უკრაინულად, სომხურად, აზერბაიჯანულად და ყაზახურად, ოპერა წარმატებით იდგმებოდა სარატოვში, კიევში, ოდესაში, ერევანში, ბაკოში, ალმა-ათაში.

ჩემთვის სასიამოვნო მოსაგონარია, რომ მოსკოვში არის ფალიაშვილის ქუჩა; იგი მდებარეობს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლის — გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის მეზობლად.

გამოჩენილი ხელოვანი მოღვაწის იუბილე გვაძლევს ჩაკუფიქრდეთ საკითხს — ყველაფერი გავაკეთეთ მისი შემოქმედების პროპაგანდისა და შესწავლისათვის? ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი სამშობლოს სასელოვანი შვილის ხსოვნას პატივი ვცეთ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

ვფიქრობ, ჯერ კიდევ ვალში ვართ ფალიაშვილის წინაშე. უნდა მოვიქცეთ ისე, რომ მის შემოქმედებას გაეცნონ საბჭოთა და საზღვარგარეთელ მსმენელთა კიდევ უფრო ფართო წრეები, უნდა დავდგათ მისი ოპერები თეატრებში, სადაც ისინი არ დადგმულა, აუტანელად შევუწყოთ ხელი მათ დადგმას საზღვარგარეთის საოპერო სცენებზე. საჭიროა მათი ლიბრეტოების ახალი თარგმანები სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე. საჭიროა ფალიაშვილის ოპერებისა და სხვა ნაწარმოებების ახალი გამოცემანი. ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ და კიდევაც უნდა გააკეთონ ქართველი კომპოზიტორის შემოქმედების პროპაგანდისათვის რადიომ და ტელევიზიამ.

ჩვენ ველით აგრეთვე ახალ სამეცნიერო გამოკვლევებს, რომლებიც უნდა მიეძღვნას „აბესალომისა“ და „დაისის“ ავტორის შემოქმედებითს მოღვაწეობას. რა თქმა უნდა. ამას უწინარეს ყოვლისა ხელი უნდა მოჰკიდონ ქართველმა მუსიკისმცოდნეებმა. მაგრამ არა მარტო ქართველმა მუსიკისმცოდნეებმა. მოღვაწეობის ფართო ასპარეზია გადაშლილი აქ საბჭოთა რუსეთის, ყველა ჩვენი რესპუბლიკის მუსიკისმცოდნეთა წინაშე.

ძვირფასო მეგობრებო!

დღევანდელი დღე საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობის ერთ-ერთი დადასტურებაა. ჩვენ, სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები ვამბობთ: დიდება ქართული კულტურის უკვდავ ხელოვანს ზაქარია ფალიაშვილს.

დიდება საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებას, რომელიც ყოველწლიურად იზრდება, წინ მიდის ჩვენი პატრიის მიერ ნაჩვენები გზით.

უკრაინელ კომპოზიტორთა სახელით პლენუმზე გამოვიდა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. კირეიკო.

— ჩვენს ხალხებს, — აღნიშნა მან, — საუკუნეთა მანძილზე მეგობრობისა და ურთიერთგაგების დიდი ტრადიციები აკავშირებთ. ჩვენში უყვართ და პატივს სცემენ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ოპერა „დაისი“ ჯერ კიდევ ომამდელ წლებში დადგა კიევის ოპერის თეატრში.

ზ. ფალიაშვილის შესახებ პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა მოლდავეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ ვ. ზაბორსკიმ. დიდი წარმატებანი, თქვა მან, უდავო ავტორიტეტი, რომელიც ქართულმა საკომპოზიტორო სკოლამ მოიპოვა ჩვენში და საზღვარგარეთ, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ზაქარია ფალიაშვილის საქმემ მიაღწია მიზანს და შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკამ, თქვა თავის გამოსვლაში სომხეთის სსრ კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა ე. მირზოიანმა, ქებას ასხამს ქართველი ხალხის შესანიშნავ თვისებებს — სულის სილამაზეს, ვაჟკაცობას, სამშობლოს სიყვარულს, ღირსების გრძნობას. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ზ. ფალიაშვილმა ერევანში გამართა რამდენიმე საავტორო კონცერტი. ეს კონცერტები სომეხი ხალხის მეხსიერებაში დარჩა როგორც მუსიკის დაუვიწყარი დღესასწაული.

ესტონელი ხალხის სახელით გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა ესტონეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე.

ДЕДЕС ЩВЕНИ РЕСПУБЛИКИС РАЙОНЕБШИ

ამბროლაური

ბზეტყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ვ. ცირეკიძე

მეგობრობა მტკიცდება

ჩხსოლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ბრატისლავა-რაჩის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დელეგაცია ამ დღეებში მოთხოვდ ეწვია ამბროლაურელ კოლმეურნეებს. რაჩელმა მეგობრებმა დათვალიერეს სადმელისა და ზეხის ზვრები. ნახეს ნიკორწმინდის ისტორიული ტაძარი, შაორეულის ჭაშლაი და წყალსაცავი, იყვნენ რაჭის სამეთ-მეტალურგიულ კომბინატში.

სტუმარ-მასპინძლებს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მეგობრობისა და საქმიანი კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. რაჩელები და რაჭველები შეთანხმდნენ, რომ ყოველწლიურად ერთმანეთს გაუცვლიან დელეგაციებს. მოახდენენ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის გამოცდილების გაზიარებას. ბრატისლავა-რაჩის ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში და ამბროლაურის ერთ-ერთ დიდ კოლმეურნეობაში მოეწყობა მეგობრობის ბაღი, სადაც გააშენებენ ვაზს და ციტრუსს. რაიონული ცენტრის ერთ-ერთ ქუჩას მიეკუთვნება ბრატისლავა-რაჩის სახელი. ამბროლაურის პირველ საშუალო სკოლაში შეიქმნება სლოვაკური ენის შესწავლელი წრე. წრის მსმენელებს საჭირო ლიტერატურით მოამარაგებენ ჩეხოსლოვაკი ძმები.

სტუმრები ეწვიენენ აფხაზეთს. გულრიფშის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მათ ინახულეს ამბროლაურიდან ჩასახლებული რაჭველები და მათთან დაამყარეს საქმიანი, მეგობრული ურთიერთობა.

ძვირფასი ექსპონატი

ზემო კრიზში მცხოვრები ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ივანე მელიტონის-ძე ნახარიანის ოჯახში აღმოჩნდა ძვირფასი ექსპონატი — ცნობილი ჭართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატი „ირემი“.

ეს სურათი შექმნილი უნდა იყოს მეოცე საუკუნის პირველ წლებში, იგი ავტორს მეპურე მეგობრისათვის უსახსოვრებია.

პაპა ივანე მოწიწებით ინახავს ხოლ-ჯაზო რელიკვიას. ტაბლილად იყენებს მხატვართან გატარებულ დღეებს.

პირველი პროდუქცია

ზაოკრავლის ხელოვნური ზღვის სანაპირზე, პანტა-მაყალოს ტყეში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ხალის წვენების გადამმუშავებელი ქარხანა.

ახალმა საწარმომ ამ დღეებში უკვე გამოუშვა თავისი პირველი პროდუქცია. წვენის ერთი პარტია ბორკში, ხოლო მეორე პარტია ომსკში გაიგზავნა. წელს ქარხანა დაამზადებს და რესპუბლიკის გარეთ გაგზავნის ვაშლის, მსხლის, მაყვლისა და მოცვის 250 ტონა წვენს.



სურათზე: ამბროლაურის კულტურის სახლი.

ფოტო ვ. არჩვაძისა.

კონცერტის შემდეგ. ფოტო ს. კილაძისა.

საძარცთველოს მთა-ბარში

სანატორიუმი საწარმოში

სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო ქარხანა ყველაზე დიდი საწარმოა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქში. ფოთში დამზადებული წყალქვეშაფრთიანი „კომეტა“ სახელგარგარეთის ქვეყნებშიც დიდი მოწონებით სარგებლობს.

საწარმოს ადმინისტრაცია ზრუნავს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათ ეძლევათ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები. ამ ზაფხულს სოჭის, ბიჭვინთის, გაგრის, ცაიშის, საირმის, ბორჯომის, შოვის და სხვა ცნობილი კურორტების სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შეებულება გაატარა 74 კაცმა.

დიდად პოპულარული გახდა თვით საწარმოს ტერიტორიაზე მწვანე ჩინარებში მოთავსებული სანატორიუმი. აქ 24-დღიან მკურნალობას გადიან მუშა-მოსამსახურეები. თვითეული ადგილის ღირებულებაა 60 მანეთი. მაგრამ ფაქტიურად დამსვენებლებს მხოლოდ 16 მანეთს იხდიან. დანარჩენი თანხა პროფკავშირული ორგანიზაციის სახსრებით იფარება. მარტო 8 თვეში აქ 440 მუშა-მოსამსახურემ დაისვენა და იმკურნალა, აქედან 81 კაცმა საგზურები უფასოდ მიიღო.

კ. კომახიძე.

ახალი ქარხანა მწყობრში

ტყიბული. (საკ. კორ.). დამთავრდა ხრესილის ხილკენკროვანი ღვინოების ქარხნის რეკონსტრუქციის პირველი სამუშაოები. მიმღებ-გადამამუშავებელმა საამქრომ უკვე გამოუშვა ღვინის პირველი პროდუქცია, რომელიც კუბიშევსა და ორენბურგში გაიგზავნა.

ქარხნის ტერიტორია დაამშვენა ორსართულიანმა ადმინისტრაციულმა შენობამ. მათი კარგი შენაძენია ახალი საქვაბე მეურნეობა, საწვავ-საცხები მასალების საწყობი და ელექტროქვესადგური.

რეკონსტრუქციის სამუშაოებს აწარმოებდა საკოლმეურნეოთაშორისო მშენებლობის ორგანიზაციის საბჭოს კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი მშენებელი ინჟინერი ს. დოღონაძე უდგას სათავეში.

მესტიის აეროპორტში

მესტია. (საკ. კორ.). მაღალმთიანი რაიონი საავტომობილო გზით უკავშირდება ზუგდიდს, მაგრამ თვითმფრინავი ხომ უფრო სწრაფია? ამიტომ ჯერ კიდევ 1936 წელს დაარსდა მესტიის აეროპორტი. მაშინ მესტიელებს და სტუმრებს 3-4-ადგილიანი პატარა თვითმფრინავები ემსახურებოდა. 1947 წლიდან აქ 10-ადგილიანი თვითმფრინავები დაფრინავენ.

ახლა მესტია საჰაერო გზით უკავშირდება ზუგდიდს, ქუთაისს, სოხუმს. გადაჭარბებით სრულდება მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის გეგმები. თუ შარშან გეგმა 11.150 მგზავრის გადაყვანას ითვალისწინებდა, ფაქტიურად გადაყვანილ იქნა 12.250 მგზავრი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ტვირთის გადაზიდვის გეგმაც.

ორღულის თევზსაშენი

საჩხერე. (საკ. კორ.). მოწინავეა სოფელ ორღულის ა. ედანოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ივ. ჭიღლაძე უძღვება. აქ მდინარე ყვირილას განშტოებაზე მოეწყო თევზსაშენი, რომელსაც ჯერჯერობით სამი ჰექტარი უჭირავს. მომავალში იგი ათ ჰექტარს დაიკავებს.

თევზსაშენში ჩაუშვეს ასეული კილოგრამი სარკისებრი კობრის ლიფსიტა.

კიდევ ერთი ყაიმი

ბუენოს-აირესი, 12 ოქტომბერი. (საკადეხის სპეც. კორ. ე. ელშოვი). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეოთხე პარტია სწრაფად და მშვიდად დამთავრდა. ანგარიში გახდა 2:2. აი როგორ მიმდინარეობდა ეს პარტია.

თეორებით თამაშობდა პეტროსიანი. მან დაიწყო შემდეგი სვლით: c2 — c4. მალე ინგლისური დასაწყისიდან პარტია სიცილიურ დაცვაში გადავიდა. მეთორმეტე სვლაზე პეტროსიანს b2 — b3-ის ნაცვლად შეეძლო მხედრით ეთამაშა d5 და რამდენადმე უკეთესი ენდშპილი მიეღო. მაგრამ ასე არ მოიქცა. მეთოთხმეტე სვლის შემდეგ თეორებმა ფიგურების გაცვლა შესთავაზეს. პოზიცია გაპარტივდა. მეოცე სვლაზე პეტროსიანის წინააღდეგობით პარტია ყაიმით დამთავრდა. იგი 62 წუთს გრძელდებოდა.

„სან მარტინის“ თეატრი კვლავ ხალხით იყო გაჭედილი. როცა მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ, ვიღაცამ იხუმრა: პეტროსიანმა და ფიშერმაც გადაწყვიტეს „უქმე“ მოეწყოთ: 12 ოქტომბერი იყო „რასის დღე“ ანუ ლათინური ამერიკის აღმოჩენის დღე. ამ დღეს აქ უქმეა ხოლმე.

ტრადიციული დღესასწაული ტრაგიკულმა შემთხვევამ დაჩრდილა. ორი დღის წინათ საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა არგენტინის ცნობილი „კოლუმბის“ თეატრის ბალეტის ცხრა მსახიობი. ამასთან დაკავშირებით ხათი მატჩზე (მეხუთე სვლაზე) ერთი წუთით გააჩერეს, და დარბაზში მყოფმა მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დალუპულთა ხსოვნას.

შემდეგი პარტიები გაიმართება 14, 17, 19, 21, 23, 26, 28 და 31 ოქტომბერს.

ბუენოს-აირესი, 13 ოქტომბერი. (საკადეხი). ბევრი ოსტატი განმარტავს პეტროსიან-ფიშერის საკადრაკო მატჩის მეოთხე პარტიას. ისინი ასკვნიან, რომ ყაიმი იყო ამ შეხვედრის ლოგიკური დასასრული და მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ წამოაყენა წინადადება დაზავების შესახებ. გაზეთი „პრენსა“ აღნიშნავს, რომ პარტია ვითარდებოდა „ულტრაცენობილი გზით“, ხოლო ფიგურების გაცვლის შემდეგ იგი გადავიდა „მშრალ ენდშპილში“, სადაც პრაქტიკულად ვერცერთი მხარე ვერ მოიპოვებდა უპირატესობას.

ეს თავისებური შესვენებაა დაძაბული ბრძოლის წინ. დღეიდან კალენდრის შესაბამისად გროსმაისტერები კვირაში ითამაშებენ სამ პარტიას. პეტროსიანმა, მიმომხილველთა აზრით, ბევრ რამეს მიაღწია: შეაჩერა ფიშერის ძლევამოსილი სვლა. ფიშერმა კი ცოტა დააცხრო თავისი ტემპერამენტი და არ უნდა რაიმე შანსები მისცეს გამოცდილ მეტოქეს მწვავე, მაგრამ ერთობ რისკიან ვარიანტებში.

ნოემბრის გოლოს, კისლოვოდსკში

მსოფლიოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს ორი შესაძლებელი მეტოქე დარჩა. ეს იქნება ნ. ალექსანდრია ან ა. კუშნირი.

ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა კითხვით მიმართა ნ. ალექსანდრიას მწვრთნელს, გროსმაისტერ ბ. გურგენიძეს.

— სად და როდის დაიწყება ნ. ალექსანდრია-ა. კუშნირის მატჩი?

— ჩვენ წინადადებით მივმართეთ საკავშირო საჭადრაკო ფედერაციას მატჩი დაწყებულიყო ნოემბრის მიწურულში კისლოვოდსკში. ამ დღეებში ტელეფონით ვესაუბრეთ საერთაშორისო ოსტატ ა. კონსტანტინოპოლსკის, რომელსაც საკავშირო საჭადრაკო ფედერაციაში ჭალთა საქმეები ანბარია. მან შემატყობინა, რომ კუშნირი თანახმაა ითამაშოს კისლოვოდსკში, ხოლო მატჩის დაწყების თარიღად 23 ნოემბერი დაინიშნა.



ვ. გოგლიძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. სურათებზე: მარცხნივ — ტიმანისა და ალექსანდრიას შეხვედრა. მარჯვნივ — მსოფლიოს ჩემპიონი გაფრინდაშვილი თვალს ადევნებს უბილავასა და ბედნარსკის პარტიას.

ფოტო ა. კაკაბაძისა.

ფინიშის სიმძაფრე

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ლიდერმა ვ. სავონმა ითამაშა გამოტოვებული პარტია ნ. კროგიუსთან. ეს შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. ლიდერს უკეთესი მდგომარეობა აქვს. ახლა ვ. სავონს (რომელსაც 11,5 ქულა აქვს) წამოეწიენ ვ. სმისლოვი, რომელმაც დაამარცხა მ. ციტლინი და ა. კარპოვი. ვ. სმისლოვსა და ა. კარპოვს 11,5 ქულა აქვს თვითეულს.

მ. ტალმა მხოლოდ ერთი პარტიის დამთავრება მოასწრო — ყაიმზე შეეთანხმდა ი. პლატონოვს, ახლა მას 11 ქულა აქვს.

რ. ჯინჯიხაშვილი ორ პარტიაში დამარცხდა — ვ. კარასიოვთან და რ. ეაგანიანთან.

ვ. გოგლიძის მემორიალი

გუშინდელ მეხუთე ტურში ფ. გიორგაძემ ლამაზად წარმართა იერიში და მოუგო ნ. რადევს. ტ. უიტუმენმა დაამარცხა ლ. ნავაროსკი. ყაიმზე შეთანხმდნენ ი. ტიმან-ე. გუფეული, ფ. პორტიშ-ბ. გურგენიძე, ვ. უბილავა-ი. პმიხლი და ი. ბედნარსკი-ვ. ბაგიროვი.

მეტად საინტერესო გამოდგა ნ. გაფრინდაშვილ-ნ. ალექსანდრიას შეხვედრა. მეტოქენი დიდი შეუპოვრობით იბრძოდნენ. პარტია გადაიდო მატერიალურად თანაბარ ენდშპილში, სადაც კიდევ ხანგრძლივი თამაშია მოსალოდნელი.

5 ტურის შემდეგ 4 ქულით პირველ ადგილზეა ახალგაზრდა ოსტატი ფ. გიორგაძე. ფ. პორტიშს (უნგრეთი) 3 ქულა აქვს.



გუშინ ბელფასტში

გუშინ ბელფასტის „უინძორ-პარკის“ სტადიონზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთა შორის. ეს იყო ამ გუნდების მეორე შეხვედრა (პირველი მოსკოვში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 1:0).

მატჩის ბედი ფაქტიურად პირველ ნახევარში გადაწყდა. ანგარიში მე-13 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს (გოლის ავტორი იყო ნიკოლსონი). 33-ე წუთზე კი ბიშოვე